

ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სოფელ ლაჩთა – შეუბნის მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. ონი

07 მარტი 2019 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. დავით რაზმაძე - სატენდერო კომისიისა და აპარატის თავმჯდომარე, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი
2. კობა მეტრეველი – სატენდერო კომისიის და აპარატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი;
3. თეიმურაზ გძელიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი;
4. გივი ბენდიანიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- სამსახურის უფროსი;
5. მარინე მაისურაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი.
6. ირმა მაისურაძე - სატენდერო კომისიის წევრი, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**დღის წესრიგი:**

ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სოფელ ლაჩთა – შეუბნის მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტის განხილვა.

**განხილვა:**

კომისიამ განიხილა ზემოთ აღნიშნული სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტს.

**კომისიამ დაადგინა:**

1. ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სოფელ ლაჩთა – შეუბნის მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს დღგ-ს გარეშე 30 508 (ოცდაათი ათას ხუთასრვა) ლარით.

2. დაევალოს აპარატის წევრს მარინე მაისურაძეს, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე გამოცხადება 2019 წლის 11 მარტს.

ოქმის ელექტრონული ვერსია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან.

კომისიის თავმჯდომარე:

დავით რაზმაძე

კომისიის წევრები:

კობა მეტრეველი

თეიმურაზ გძელიშვილი

გივი ბენდიანიშვილი

ირმა მაისურაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის

წევრი და სხდომის მდივანი

მარინე მაისურაძე

## შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

### 1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

ქ.ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სოფელ ლაჩო - შეუბნის მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის შესახებ

### 1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად (იხ. მიბმული ფაილ(ებ)ი).

### 1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

-----

### 1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).

### 1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

1.5.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

1.5.3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა) საპროექტო დოკუმენტაცია \_ 3 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-3 და A-4 ფორმატები);

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია \_ 3 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-4 ფორმატი);

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (PDF და Excel ფაილები) ვერსია \_ 1 CD/DWD დისკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაო ელექტრონული ფაილები (MS Word, Excel, AutoCAD, ArchiCAD და სხვა).

1.5.4. საბოლოო (სრული) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. ონი, დავით აღმაშენებლის ქ. #40;

## ტექნიკური მოთხოვნები

### 2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

#### 2.2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

1.პრეტენდენტს 2016 წლის 01 იანვრიდან წინადადების მიღების დაწყებამდე უნდა გააჩნდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების არანაკლებ 30 000 ლარის ღირებულების გამოცდილება, გზებისა და არხების საინჟინრო-საპროექტო მომსახურებაზე;

2. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N3-ის შესაბამისად;

2.1 პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს, საანგარიშო პერიოდში ანალოგიური მომსახურების გამოცდილების დამადასტურებელი, მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები: ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში თუ მოცემული დოკუმენტები ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საკმარისია შესაბამისი განცხადების ნომრ(ებ)ის (SPA, NAT, DAP, CMR) წარმოდგენა.

2.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ანალოგიური მომსახურების იდენტიფიცირების მიზნით მოითხოვოს პრეტენდენტისაგან დამატებითი ინფორმაციის სახით სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომლის მიწოდებაც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

### **2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?**

არა

### **2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?**

კი

#### **2.4.1 მოთხოვნა პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ**

პრეტენდენტს აუცილებლად უნდა ყავდეს შესაბამის სფეროში საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ - 1 (ერთი) სპეციალისტი - საგზაო ინჟინერი. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით გზებისა და არხების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სფეროში. ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იყოს ამ სპეციალისტების პირადობის დამადასტურებელი მოწმობების და საინჟინრო განათლების დამადასტურებელი დიპლომების ასლები, ასევე წარმოდგენილი იქნას აღნიშნულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ასლები, რომელიც ადასტურებს მიმწოდებელთან მათი მუშაობის ფაქტს. გამარჯვების შემთხვევაში შესყიდვის ობიექტზე წარმოდგენილი პროექტი და მიღება-ჩაბარების აქტები დამოწმებული უნდა იყოს აღნიშნული სპეციალისტის მიერ, სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად. ინფორმაცია სპეციალისტების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი N4-ის შესაბამისად.

### **2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?**

არა

### **2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?**

არა

### **2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?**

კი

2.7.1 მოთხოვნა ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტების შესახებ

მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკურ ნაწილზე), ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

## 2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

## 2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები

-----

### ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

#### 4.1.3 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის გაუთვალისწინებლობის დასაბუთება

შესყიდვის თავისებურებიდან (მომსახურების სპეციფიკიდან) გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ინტელექტუალურ მომსახურებას, ხოლო ინტელექტუალური მომსახურების დანახარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადამიანური რესურსის შრომითი გასამრჯელო, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული ინტელექტუალური მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

### სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

#### 5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

### ანგარიშსწორების პირობები

#### 7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

#### 7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ფორმით, ლარებში საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

#### 7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

ანგარიშსწორება მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

### ხელშეკრულების პროექტი

#### 8.1 ხელშეკრულების პროექტი

## საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

### 9.1 სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

მარინე მაისურაძე, 591 01 03 83, [marinemaisuradze@yahoo.com](mailto:marinemaisuradze@yahoo.com); ტექნიკურ საკითხებში თეიმურაზ გპელიშვილი, ტელ.: 591 010433.

## დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

### 10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" შესაბამისად.
  2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას პირის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
  3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება). იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა.
  4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
  5. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
  6. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.
  7. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე), თუ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ფასების ცხრილი ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაზღვრული პოზიციების 1%-ს.
  8. პრეტენდენტი ვალდებულია, მის მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარსადგენი დოკუმენტები (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები და ა.შ.). დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით/კვალიფიციური შტამპით.
- აღნიშნულისთვის პრეტენდენტს აქვს ორი შესაძლო გზა:
- ყველა PDF დოკუმენტი სათითაოდ დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით;

- გაერთიანოს წარსადგენი დოკუმენტები ერთ PDF ფაილად, ხოლო თუ ერთი ფაილის ზომა აღემატება 20 მეგაბაიტს – რამდენიმე PDF ფაილად და ის/ისინი დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით.